ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2440 სამშაბათი, 16 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2440

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- 5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 აპრილამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 17 მარტს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება,

I ცხოვრების გმირი

დრამა 3 მოქ. კარეევისა, თარგ. ზ. ჩიკვაიძისა.

II ბიძასთან გამოხუმრება

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, აფხაზიშვილი, მ. აბაშიძისა, დავითაშვილი, ნებიერიძისა; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ბაქრაძე, გვარაძე, გძელიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, საფაროვი, სარჯველაძე და სხვა.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

გამგე **ა. ი. იმედაშვილი.** რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი შტოკმანი“ იბსენისა ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. (2—1)

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 16 მარტს, წარმოდგენილი იქნება

ტოსკა

ოპერა 3 მოქ. მუსიკა პუჩინისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, რადიონოვა; ბ-ნნი ფიგნერი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, თულაევი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 17 მარტს—„სევილელი დალაქი“; 18 მარტს ბენეფისი კამიონსკისა; 19 მარტს—ბენეფ. ფიგნერისა.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ლ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

ი. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

გ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. გ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

გ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ფილტვების, კვირაობით 10—12.

ძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა-[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. გ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

გ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. გ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (წლ.) **ტელეფონი № 274**

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რუსტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რუსტ. № 26). (30—5.—5)

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიაშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიაშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან [illegible] ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლიანტიპ არმაკლიძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მარტი.

პეტერბურგი. გენერალ სმირნოვის დეპეშა, გამოგზავნილი პორტ-არტურიდან 14 მარტს მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას: 13 მარტს, ღამე, მთვარის ჩასვლის შემდეგ, იაპონელებმა სცადეს ნავთ-სადგურის შესავლის შეკვრა, რისთვისაც გამოგზავნეს ოთხი ბრანდერი ნაღმიან გემების თანხლებით. დაახლოვებით ღამის 2 საათსა და 15 წუთზე ჩვენმა სადარაჯო გემებმა და ბატარეიებმა შეამჩნიეს მტრის გემების მოახლოვება და ზარბაზნები დაუშინეს. ბრანდერების წინ მიდიოდნენ მტრის ნაღმიანი გემები, ხოლო უკან კარგა დაშორებით—უფრო დიდი გემები, რომელთაც ზარბაზნები დაუშინეს ჩვენს სიმაგრეებს და მით მხარი დაუჭირეს ბრანდერებისა და ნაღმიან გემების მოქმედებას. ჩვენის არტილერიისა და ნაღმიან გემების წყალობით ბრანდერები ნავთ-სადგურის შესავლამდე ვერ მივიდნენ: ორი მათგანი „ზოლოტაია გორა“-ს ქვეშ ქვებზე გაირიყა, ერთიც ჩვენმა ნაღმიანმა გემმა შეანგრია და დაძირა; მეოთხე ბრანდერიც დაიღუპა „მაიაჩნაია გორა“-სთან, სადაც წინადაც დაიღუპა იაპონიის ერთი გემი. შესავალი თავისუფალი დარჩა. დაღუპულ გემებზე აღმოჩნდა მსწრაფლ მსროლელი ზარბაზნები გოჩკინსის სისტემისა. ამ ზარბაზნებიდან ჩვენს ნაღმიან გემებს ესროდნენ. ოთხსავე დაღუპულ გემიდან ნავები ჩაუშვეს იაპონელ მეზღვაურთა გადასარჩენად; ვგონებ, ამ ნავებიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. დილის ოთხს საათზე მტრის ნაღმიანმა გემებმა უკან დაიწიეს და სროლა შესწყვიტეს ჩვენის ფლოტის ადმირალი მაკაროვი მაშინვე გავიდა რეიდზე მტრის დაღუპულ გემების დასათვალიერებლად. დილის ხუთს საათზე პორტ-არტურის სამხრეთით ისევ გამოჩნდნენ იაპონელთა ნაღმიანი გემები, რომელთაც ჩვენმა ბატარეიებმა მაშინათვე სროლა დაუწყეს. დილის ექვს საათზე გამოჩნდა იაპონიის ესკადრა; ჩვენი ფლოტიც გავიდა მტრის შესახვედრად. ექვს საათსა და 30 წუთზე ჩვენის ციხეებიდან იაპონიის ესკადრას ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ სროლა მალე შეწყდა, რადგან იაპონიის გემებმა სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ დაიწიეს. როგორცა სჩანდა, მათ არ უნდოდათ ბრძოლის დაწყება. დილის ათს საათზე იაპონიის ესკადრა პორტ-არტურს განშორდა.“

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ“). რუსეთის მთავრობამ შეატყობინა შეერთებულ შტატების მთავრობას, რომ მდინარე ლიაოხეს შესართავში ნაღმები ჩავაწყეთო.

მუკდენი. მოვიდა მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალი გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი. სადგურზე დაუხვდა საპატიო დარაჯები—ერთი როტა ბაირაღითა და მუსიკით. მთავარ-სარდალი მიესალმა საპატიო დარაჯთ და შემდეგ ეტლით წავიდა მის უდიდებულესობის ნამესტნიკთან.

პორტ საიდი. „აფიცრები და მეზღვაურნი შეევედრნენ ღმერთს, გამარჯვება მიანიჭოს ხელმწიფეს, როცა გაიგეს, რომ ისინი დააჯილდოვეს; მზად არიან დაიხოცნენ სარწმუნოებისა, მეფისა და სამშობლოსათვის. კრეისერ „ვარიაგ“-ის უფროსი აფიცერი მეორე ხარისხის კაპიტანი სტეპანოვი!“

ბერლინი. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გერმანიის საზღვაო აგენტი ტოკიოში გაიგზავნა იაპონიის საზღვაო მთავარ შტაბში.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

15 მარტი.

ტოკიო. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ პორტ-არტურის ესკადრა მტრის მოგერების ტაქტიკას ადგია, თუმცა ადმირალი მაკაროვი ორშაბათს ცხრა გემით შიგნითი რეიდიდან გავიდა. არა ჰგონიათ, რომ მაკაროვმა გაბედოს და შეებრძოლოს ადმირალს ტოგოს, რომელმაც არ მოისურვა ბრძოლა მხოლოდ იმიტომ, რომ სანაპირო ბატარეების მახლობლად იყო.

მარკიზ იტო სეულიდან იაპონიაში წავიდა.

პალატამ უცვლელად მიიღო საფინანსო პროგრამა მთავრობისა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მარტი.

ნეაპოლი. დღეს გემ „ჰოჰენცოლერნ“-ზე სადილი გაიმართა, რომლის დროსაც იტალიის მეფემ გერმანიის იმპერატორის, დედოფლის, მთელის სამეფო სახლისა და გერმანიის ერის სადღეგრძელო მიირთვა. იმპერატორმა ვილჰელმმა საპასუხო სიტყვა უთხრა მეფეს.

ბერლინი. [illegible] გადაწყვეტილია, რომ მეფე ალფონ[illegible] გერმანიაში შემოდგ[illegible] გამგზავრება. [illegible] საქსონიის მეფე სანსუბასიტ[illegible] გასტარებს და შემდეგ ბერლინს წავა.

[illegible] ტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმა[illegible] კეთილ ინება და დაამტკიცა [illegible] მოხსენება, რომლითაც წმ. სამებ[illegible] ლავრის [illegible] მურომის [illegible] არქიმანდრიტი ნიკონი ეპისკოპოსად დაინიშნა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ოფიციალურ ცნობების თანახმად, იაპონიის პირველი [illegible] არმია ეხლა პინიანში დგას, ერთი დივიზია უფრო წინ, ანჩუშია გაგზავნილი. მოწინავე წვრილი რაზმები ხომ პაკჩენამდე (კასანს ახლოს) მოსულან. 6 მარტს ღამით იაპონიის მზვერავი რაზმები უფრო შორსაც უნახავთ, კასანსა და ჩონ-ჩუს ახლოს, 300 იაპონელ ცხენოსანს იონ-ჩხენიც დაუჭერიათ. აქედან სჩანს, რომ იაპონელების მოწინავე ცხენოსანი რაზმი 6 მარტს ი-ჩჟუდან (მდ. ილუზეა) 15 ვერსის სიშორეზე ყოფილა („რ. ვ.“).

იაპონელებისაგან დაჭერილ ქალაქ ანჩჟუს სიგძე და სიგანე თითო ვერსი ექნება; ქალაქს გარშემო კედლები აქვს აშენებული, შუაზეც ერთი კედელი აქვს გავლებული. ანჩჟუს ჩრდილოეთი ნაწილი ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს. ი-ჩჟუსა, სეულსა, გენზანსა და გირინს მიმავალი გზები ამ ქალაქში ერთად იყრება. ერთის სიტყვით, ანჩჟუს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო რომ ამ ქალაქს ახლო საკმაოდ განიერი და ღრმა (7 ფუტი) მდინარე ჩინჩან-განი ჩამოდის ორ ტოტად, ერთს ტოტს —90 საჟენი აქვს სიგანე, მეორეს—100 („რ. ი.“).

მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ს: კორეიაში გადმოსული იაპონელი ჯარის-კაცები და მრავალი ათასი მუშა ანჩჟუ-გენზანის გზაზე სიმაგრეებს აშენებენ. ამას გარდა იომპიონსა და ხამ-ხინგსაც ამაგრებენ. ამიტომ იაპონიის ჯარმა ილუსაკენ გალაშქრება, ცოტა არ იყოს, დააგვიანა. ეჭვი არაა, ჩემულპოსა და გენზანში გადასული ჯარები ჯერ ცალ-ცალკე ივლიან, მერე იომპიონში დაუახლოვდებიან ერთმანეთს და ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრებენ. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ი ჰფიქრობს, იაპონელები ნიუ-ჩუანში ჯერ არ გადაიყვანენ ჯარსა, ჯერ დაჰხედვენ და თუ მდინარე ილუზე პირველშივე გაიმარჯვეს, მაშინ ნიუ-ჩუანშიაც გადაიყვანენ ჯარსაო („რ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ სეულიდან: იაპონელები ჩრდილოეთ კორეიაში, ანჩჟუ-ლაზარევის ნავთ-სადგურისა და პენიანგენზანის გზებზე მრავალ სიმაგრეს აშენებენ. იაპონელებისა და ინგლისელ კორესპონდენტების აზრით, ამ სიმაგრეების აღება შეუძლებელი იქნება („რ.“).

ნიუ-ჩუანიდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: 8 მარტს, დილის 7 ს. 14 წ., ნიუ-ჩუანის სამხრეთით, დაახლოვებით 6 მილის მანძილზე, ზღვის ნაპირიდან დიდ ზარბაზნების სროლის ხმა მოდიოდაო. ხშირი ჯანყი იდგა, ამიტომ ვერაფერი ვერ გავარჩიეთო. ერთის დღით წინ, ნიუ-ჩუანის სამხრეთით, კაიჩოს ახლო, 2 იაპონიის კრეისერი სჩანდა და 5 კანონერი ნავი („რ.“).

გერმანული გაზ. „ლოკალ ანცაიგერ“-ი იუწყება: ნიუ-ჩუანში რუსებმა მოსთხოვეს ინგლისელებს, თქვენი მოსამსახურე იაპონელები ჯაშუშობას ეწევიან, ამიტომ უნდა დაითხოვოთო, მაგრამ ინგლისელებმა უარი უთხრეს რუსებს. ამას გარდა რუსის მოხელეებმა ნიუ-ჩუანში უცხოელებს ქალაქის ნეიტრალურ ნაწილში ცხოვრება აუკრძალეს. ამაზე კონსულებმა პროტესტი გამოაცხადეს. ნიუ-ჩუანის ვაგზლიდან ლიაოხეს შესართავამდე (ლაოდუნის ყურემდე) რუსები ზარბაზნებსა სდგამენ („ბ. ვ.“).

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: რუსის მოხელეებმა ნიუ-ჩუანში გამოუცხადეს გერმანიის კონსულს, გერმანიის ქვეშევრდომების დასაცველად ღონისძიება მიიღეთო.

„ნიუ-იორკ ჰერალდი“-ის კორესპონდენტი იუწყება: 3 მარტს ხუნხუზები პორტ-არტურს ახლო კინ[illegible] რუსების სადარაჯო რაზმს დაეცნენ და 3 [illegible] მოჰკლესო, რუსებმაც 4 კაცი მოუკლ[illegible] ხუნხუზებს და ბოლოს სულაც უკუაქციესო („რ.“)

„ექო დე პარი“-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს რუსეთის გენერალ დრაგომიროვთან ეხლანდელ ომზე უსაუბრნია. დრაგო-

მიროვს, სხვათა-შორის, უთქვამს: ჩემის აზრით, რუსის ჯარმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მდინარე იალუს. იალუ მაღალ მთებ შუა მიდის და გაზაფხულის პირზე მეტად დიდდება. ამიტომ ჩვენ ჯარს დიდი სიფრთხილე ჰმართებს. მდინარე იალუს გაღმა გასვლა კარგი საქმეა, მაგრამ საქმე ისე უნდა დაიჭირონ, რომ უკან დაბრუნება არ გაუჭირდეთ. მდინარეზე გადებული ხიდი კარგად უნდა გაამაგრონ. იალუს მარცხენა მხარეს, ე. ი. იმ მხარეს, სადაც იაპონელები დგანან, ხიდის თავი კარგად უნდა იყოს გამაგრებული, რომ დიდმა წყალმა არ მოიტაცოს. ამბობენ, იალუ გაზაფხულზე ზოგიერთ ადგილას ვოლგაზე ძლიერ დიდდებაო. („ნ“).

„ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება სეულიდან: იაპონელები ბეჯითად ცდილობენ „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის ამოღებას. იაპონელებს იმედი აქვთ, რამდენისამე თვის შემდეგ ამ გემებს საქმეში გამოვიყენებთო. („ნ.“).

„დაილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ, ვითომ ვლადივასტოკის ესკადრას პორტ-არტურის ესკადრასთან შეერთება მოეხერხებინოს. („ზ. ვ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი ქრონიკლ“-ს: მარკიზ იტომ და ფელდმარშალმა ოიამამ მთავრობას გამოუცხადეს, უბრალო ჯარის-კაცებად წავალთ მებრძოლ ჯარშიო. („რ. ვ.“).

26 თებერვალს პორტ-არტურთან მომხდარი რუსისა და იაპონიის ნაღმიან გემების ბრძოლა ერთ ინგლისელ მეზღვაურს თავის თვალით უნახავს (იაპონელების გემზე ყოფილა) და ეხლა გაზ. „ტაიმს“-ში აუწერია: „რუსის 6 ნაღმიანი გემი და იაპონიის ნაღმიანი გემები, კაპიტან ასაის უფროსობით, 26 თებერვალს დილის 4 საათზე შეიტაკნენ და სრულ $^3/_4$ საათს იბრძოდნენ. გემები ისე ახლო მივიდნენ ერთმანეთთან, რომ რუსის მეზღვაურებმა ასაფეთქებელი ყუმბარა გადააგდეს იაპონიის ერთ გემზე და კაპიტნის ხიდს მოახვედრეს. იაპონელებს სულ 8 კაცი მოუკლეს და 6 კაცი დაუჭრეს. იაპონელები 6 გირვანქიან ყუმბარებს ისროდნენ, რუსები კი—3 გირვანქიანს. თუმცა 3 გირვანქიან ყუმბარას გემის გვერდის განგრევა შეუძლიან, მაგრამ დიდ ზიანს მაინც ვერ მისცემს, რადგან შედარებით სუსტად იფეთქებს ხოლმე. „სტერეგუშჩი“-ს დაღუპვაზე კორესპონდენტი შემდეგსა სწერს: როცა იაპონელები ამ გემზე გადახტნენ, ორი რუსი მეზღვაური ძირს კაიუტაში გაჰქანდა და შიგნიდან კარი ჩაიკეტა. ორი რუსი კაჩეგარი „სტერეგუშჩი“-დან წყალში გადახტა, მაგრამ იაპონელებმა დაიჭირეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამას გარდა იაპონელებმა ორი სხვა დაჭრილი რუსიც გადაარჩინეს სიკვდილს. „სტერეგუშჩზე“ სულ 53 მეზღვაური იყო. მალე „სტერეგუშჩი“ ჩაიძირა და თან ის ორი მეზღვაურიც ჩაიტანა, კაიუტაში რომ იყვნენ ჩაკეტილნი“.

იგივე ინგლისელი მეზღვაური იუწყება, ადმირალ კამიმურას ვლადივოსტოკზე დაცემის დროს მხოლოდ კრეისერები ჰყავნდაო. („რ. ვ.“).

ჩინეთის მეფის მოადგილემ იუანშიკაიმ პოლკოვნიკი მუნჟე პორტ-არტურს გაგზავნა, იქიდან ჩინელები წამოიყვანეო. რუსებმა მუნჟე პორტ-არტურში არ შეუშვეს, მაგრამ ჩინელებს კი ნება მისცეს, ვისაც გსურთ, შეგიძლიანთ გახვიდეთ აქედანაო. 1500 ჩინელი ჩიფუს წავიდა, დანარჩენი—მანჯურიას. („რ.“).

ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ს: სარწმუნოდ გავიგეთ, ჩინეთის მთავრობამ დიდძალი თოფის წამალი შეუკვეთა გერმანიის ქარხნებსაო. ამბობენ, ჩინეთს გარდა, ოსმალეთმა და ესპანიამაც დიდძალი თოფის წამალი შეუკვეთეს ამავე ქარხნებსაო. ქარხნებს იმდენი საქმე გაუჩნდათ, რომ დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობენ და მაინც ვერ ასდიან საქმეს. ამბობენ, რამდენიმე წლის წინად დაკეტილი ქარხნები ხელ-ახლად გაიხსნა და თოფის წამლის მზადებას შეუდგაო. („რ. ვ.“).

ფრანგ პუბლიცისტის აზრი რუსეთ-იაპონიის ომზე. ფრანგა პუბლიცისტმა პიერ ლერუა-ბოლიემ ფრანგულ ჟურნალ „რევიუ დედემონდ“-ში საინტერესო წერილი დაბეჭდა რუსეთ-იაპონიის ომზე. ავტორის აზრით, იაპონიას ამ ჟამად 339 ათას ჯარის-კაცის გამოყვანა შეუძლიან ბრძოლის ველზე, მაგრამ მერე 400 ათასს და მეტსაც გამოიყვანს, მეტადრე თუ ზღვაში ბატონობა არ მოეშალათ. სატრანსპორტო გემები იაპონელებს საკმაოზე მეტიცა აქვთ, ამიტომ ჯარის გადაყვანა იაპონიას სულაც არ გაუჭირდება. ლერუა-ბოლიეს აზრით, იაპონიას ჯარიცა და ფლოტიც კარგი ჰყავს, არც ერთის სახელმწიფოს ჯარსა და ფლოტს არ დაუვარდება. არც ფულის შოვნა გაუჭირდება იაპონიას. ერთს წელიწადს, იქნება მეტსაც, თამამად იომებს, ფული არ შემოაკლდება. ვინ გაიმარჯვებს—რუსეთი, თუ იაპონია? საფრანგეთში ყველა დარწმუნებულია, რუსეთი გაიმარჯვებსო, ინგლისში კი ყველა ამტკიცებს, იაპონია აჯობებს რუსეთსაო. ავტორის აზრით, იაპონიას მეტად გაუჭირდება მანჯურიიდან რუსების განდევნა, სამაგიეროდ რუსებს მეტად გაუძნელდებათ იაპონელების განდევნა კორეიდან. იქნება რუსებმა კორეიაში სულაც ვერა დააკლონ რა იაპონელებს. ასე რომ ავტორმა არა იცის, ვინ გაიმარჯვებს, ავტორმა მხოლოდ ის იცის ნამდვილად, რომ ბოლოს საქმეში ნეიტრალური სახელმწიფოები გაერევიან და რუსეთსა და იაპონიას შეარიგებენ. როგორც უნდა გათავდეს ეს საქმე, შორეულ აღმოსავლეთში სახელმწიფოთა საერთაშორისო მდგომარეობა მაინც უსათუოდ შეიცვლება. ლერუა-ბოლიეს აზრით, ომის შემდეგ იაპონია უეჭველია დაუახლოვდება ჩინეთს და ყვითელი მოდგმა მეტს როლს ითამაშებს ისტორიაში. ეს არც საკვირველია, რადგან იაპონელებიცა და ჩინელებიც თითონ ევროპიელებმა გააღვიძესო („რ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ დღეს **ექიმი ფ. მ. ბლიუმენტალი** მოსკოვს მიემგზავრება. მთელი შემოსავალი ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენისა ექიმს შეუწირავს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისთვის იმ აზრით, რომ დაიწყოს პროპაგანდა კერძოთ ტფილისსა და საზოგადოდ კავკასიაში ჭლექის წინააღმდეგ. ექიმი ბლიუმენტალი მომავალ წელს აპირებს კვლავ ტფილისში ჩამოსვლას, რომ დაესწროს კავკასიის ექიმთა კრებას.

◆ რადგან **ექიმმა ბლიუმენტალმა ქუთაისში** თვითონ ვერ მოასწრო ლექციების წაკითხვა, ეს საქმე მიანდო ექიმ ხატისოვს, რომელიც ამ დღეებში აპირებს ქუთაისს გამგზავრებას ჭლექის წინააღმდეგ ლექციების წასაკითხავად.

◆ ტფილისის ფარმაცევტთა საზოგადოებამ **ექიმი ბლიუმენტალი** საპატიო წევრად ამოირჩია და ადრესიც მიართვა.

◆ **საქართველოს ეგზარხოსი** ამ დღეებში მანგლისისკენ მიემგზავრება.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორს ბ-ნ ლეის უვარგისად უცვნია ეხლანდელი სადგომი **ფოსტა-ტელეგრაფისა** და აქაურ ფოსტის მთავრობას შუამდგომლობის აღძვრას დაჰპირებია ახალ სადგომის აგების თაობაზე.

◆ 14 მარტს ი. ტიგრანიანცის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფილისის ურთიერთ **დამზღვევ საზოგადოებისა.** კრებამ განიხილა ანგარიში. საანგარიშო წელს დაუზღვევიათ 1,979,843 მანეთის ქონება. ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის საზოგადოებას მიუცია 30,997 მან. 88 კაპ. სათადარიგო წმინდა მოგება დარჩენია 76,41 მან. 29 კაპ. კრებამ ანგარიში დაამტკიცა. დაამტკიცა აგრეთვე მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა. კამათი გამოიწვია გამგეობის დადგენილებამ იმის შესახებ, რომ საზოგადოების სათადარიგო თანხიდან 100,000 მან. მოათავსონ ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში. გამოირკვა, რომ წესდებით ეს არ შეიძლება. კრებამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა წესდების შეცვლის შესახებ. ცხარე კამათი გამოიწვია კრების თავჯდომარის ბ-ნ ი. ლ. ტიგრანიანცის მოქმედებამ. კრებას უნდა ამოერჩია გამგეობის თავმჯდომარე პ. ალიხვგოვის ნაცვლად, რომელმაც ვადამდე სამსახურს თავი დაანება. ლაპარაკი ჩამოვარდა, თავმჯდომარეს 1500 მან. ჯამაგირი დავუნიშნოთ და მერე ამოვირჩიოთო. წინააღმდეგი იყო უმრავლესობა, რადგან ზოგიერთებმა გამოაცხადეს, უსასყიდლოდ ვიმსახურებთო. თავმჯდომარემ მოინდომა დახურულ კენჭის ყრით ამ საკითხის გადაწყვეტა. მაშინ ადგა პ. ალიხვგოვი და განაცხადა, რადგან საქმე ასე გამწვავდა, უკან ვიბრუნებ ჩემ თხოვნას და ვადამდე ვრჩები თანამდებობაზეო. თავმჯდომარემ მოინდომა კენჭით გადაწყვეტა იმისა, მივიღოთ თუ არა ალიხვგოვის განცხადებაო, თუმცა კრება ტაშის ცემით მიეგება ალიხვგოვის განცხადებას დ[illegible] ერთხმად დარჩენა. თავმჯდომარ[illegible] ხმა[illegible] წესიერების დარღვევა [illegible] და სთქვა, სირცხვილი იმ პირთ, რომელნიც აქ წესიერებას არღვევენო და ჩემს უფლებას არ ემორჩილებიანო. კრებამ იწყინა ასეთი საქციელი ტიგრანიანცისა, კენჭის ყრაში მოხელე პირთა ასარჩევად მონაწილეობა არ მიიღო და ყველანი წავიდნენ დარბაზიდან.

◆ ამას წინად, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქალაქის ლომბარდის გამგემ სთხოვა გამგეობას გამოსცეს **საობლიგაციო სესხი** 250,000 მანეთისა საწარმოვო თანხის გასაძლიერებლად და განყოფილების დასაარსებლად. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს მოხსენება, დაეთანხმა ლომბარდის გამგის აზრს, მაგრამ შეუძლებლად სცნო დღევანდელ პირობებში სესხის გამოცემა. გამგეობამ დაადგინა, წარედგინოს საბჭოს ლომბარდის გამგის მოხსენება და ეუწყოს, რომ ამ საკითხის განხორციელება გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის გამგეობა წამოაყენებს საკითხს მეორეხე საობლიგაციო სესხის გამოცემის შესახებ.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა დადგენილება სასწავლებელთა კომისიისა იმის შესახებ, რომ გადაიდოს 8000 მან. ხარფუხში **ქალაქის სასწავლებლისათვის** 400 ოთხ-კუთხ საჟენ მიწის შესაძენად, 15,000 მან. ამ ადგილზე საკუთარ შენობის ასაგებად და 4800 მან. ავლაბარში მიწისავე შესაძენად. გამგეობამ დაადგინა, ხარფუხისა და ავლაბრის სკოლებისათვის საჭირო ფული, 30,000 მანეთი, ისესხონ ქალაქის საუნივერსიტეტო თანხიდან. შემდეგ უნდა დააგირაონ რომელსამე საკრედიტო დაწესებულებაში ჩუღურეთისა და ხარფუხის სკოლების სადგომები და ამ ფულით შეავსონ საუნივერსიტეტო თანხა. ეს დადგენილება საბჭოს წარედგინება 22 მარტს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, „**სვეტის**“ **ნავთის საწყობებს** უკან, ლიანდაგის მეორე მხარეს, მცხოვრებთ ჯერ ისევ შარშან უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის, გაეყვანა ქუჩა „სვეტის“ მიერ დაჭერილ ადგილზე, როგორც პროექტშია აღნიშნული. რადგა[illegible] დღევანდლამდე გამგეობას ეს თხოვნა ვე[illegible] შეუსრულებია, გუშინ მცხოვრებთ აცნობეს ქალაქის მოურავს, რომ ქუჩის გაყვანის ნაცვლად „სვეტის“ ამხანაგობა შეუდგა გროზნენსკის ქუჩიდან აღნიშნულ ადგილას ქვითკირის კედლის ამოყვანას. მცხოვრებნი სთხოვენ მოურავს, გაგზავნოს არქიტექტორი დასათვალიერებლად და შემდეგ ქუჩის გასაყვანად.

◆ გუშინ, 15 მარტს, ბორჩალოს მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ 4 მარტს სოფ. კალაგერანში მდინარე ბომბაკოჩაის მარჯვენა ნაპირას, სოფ. დისიხის მცხოვრებს ფარსადან ვანიანცს, როდესაც ფქვილის საწყობს აშენებინებდა, თავს დაეცნენ სოფ. დარაკსიდის მცხოვრებნი, რიცხვით 50 კაცი, კურტანის მამასახლისის აღალო ყაზაროვის მიერ წაქეზებულნი, დაუწყეს ვანიანცს და დისიხის მ-

ფელეტონი

ქართული დაუზოგველობა

(დასასრული*)

იმ მომენტს, როცა ხალხი ნადირობიდან მიწის შემუშავებასა და ხვნა-თესვას დაადგა, ერთი გერმანელი მეცნიერი, სხვათა შორის, იმ მნიშვნელობასაც აწერს, რომ ამან ხელი შეუწყო ადამიანში მერმისის ფიქრის გაღვიძებასა და დაზოგვის შეგნების განვითარებასო. მიწა წელიწადში ერთხელ იძლევა ნაყოფს და ამიტომ ადამიანი იძულებული გახდა, თავისი მონაგარი მოეგროვებია და წლის ბოლომდის გამოეზოგებიაო.

შეიძლება, ეს მართალიც იყოს წინანდელ ხანასთან შედარებით, მაგრამ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ ხვნა-თესვის წარმოდგომის დროში შემუშავებული დაზოგვის შემეცნება და ნატურალურ მეურნეობის ხანაში ხმარებული ყაირათი სრულებით არაა საკმარისი და გამოსადეგი ამ ჩვენს მოქალაქობრივობისა და აღებ-მიცემობის დროში. იქ ნამუშავარის შენახვისა და გაზრდისა და გაფართოების ფიქრი ერთ წელიწადს არ აღემატება. მწარმოებელმა იცის, რომ შემდეგ წელიწადს მიწა არსად წავა, ისევ ჰირნახულს დასთესს და წლიურ სარჩოს მიიღებს. ეკონომიური ურთიერთობა ისეთია, რომ მას ბაზარზე გასაყიდად არაფერი გააქვს, არამედ ყველა თავის მოთხოვნილებათ საკუთარის წარმოებით იკმაყოფილებს. ეს არის მოხმარებითი მეურნეობა, სადაც მწარმოებელი ამზადებს ნაწარმოებს, რომ თვითონ იგემოს და მოიხმაროს: ღვინო დაყენებულია იმისთვის, რომ ოჯახში დაილიოს, პური მოწეულია იმ მიზნით, რომ მთლად შინვე დაიხარჯოს. დიდია მოსავალი თუ ცოტა, ორივე შემთხვევაში ნაწარმოები სახლში იხმარება და იხარჯება, ცხადია, რომ ასეთი ეკონომიური წყობილება, ნაცვლად თანამედროვე დროის შესაფერ დაზოგვის განვითარებისა, ხელს [illegible] ნაწარმოებთა გაფლანგ[illegible] და უეკონომიო ხარჯვას: ზედმეტ[illegible] ღვინო გაფუჭდება ქვე[illegible]რში, თუ დროზე [illegible] არ დაილია, პური და[illegible]ბება ბეღელში, თუ არც შეიჭამა. გლეხობას, საკვირველ[illegible]ია, ამ ხანაშიაც მაინცა და მა[illegible] ბევრი არ[illegible] შესაჭმელად და არც დასალევ[illegible] არ რჩებ[illegible]ა, რადგან მისი მონაგარი სხვა-და-სხვა გა[illegible]დასახადის სახით ბატონის სასახლეში ეგზავნ[illegible]ება. სამაგიეროდ, ფეოდალების ოჯახებში [illegible] განუწყვეტელი სმა-ჭამა და ქეიფია. უცხო[illegible]ელი მოგზაურები, რომლებსაც იმ ხანებში საქართველო მოუვლიათ, მაშინდელ თავ[illegible] ერთხმად მოგვითხრობენ, რომ ასეთი მსმელი და მოქეიფე ხალხი მთელ დედა-მიწის ზურგზე არსად გვინახავსო.

ნატურალური მეურნეობა ჩვენში შეიცვალა და ესრედ წოდებული ფულის მეურნეობა დამყარდა, მაგრამ ეს ცვლილება ჯერ ისე დიდი ხნისა და იმდენად ღრმა გავლენის მქონე არაა, რომ ჩვენს ხალხში ძველი აზრ-შეხედულება და ჩვეულება ძირიანად მოესპო და ან თავის შესაფერად გარდაექმნა. ადამიანის გონება ბუნებით ზანტი და უმოძრაოა,—იგი ადვილად ვერ იშორებს ძველ ტრადიციებს, მალე ვერ ეჩვევა ცვლილებას და ვერ იგებს ახალ ვითარებას. საშუალო ადამიანი ხშირად ისევ ძველებურად სჯის და აზროვნობს, ძველის წესით ცხოვრობს და მოქმედობს და ვერ ამჩნევს, რომ სოციალურ ცხოვრებასა და განწყობილებაში ახალი ურთიერთობა და დამოკიდებულება დამყარდა. ეს ნაკლი ემჩნევა დღეს ქართველის იდეურ შემეცნებასაც. იგი ვერ მოშორებია ძველ ნატურალურ დროინდელ შეხედულებას და ჩვეულებად ვერ გაუხდია ამ აზრის თანახმად მოქმედება,—რომ თანამედროვე წესწყობილებაში კერძო ადამიანის ეკონომიურ მდგომარეობას აღარ აქვს ძველებური სიმტკიცე და შეურყევლობა, რომ იგი ბევრ ცვალებად გარემოებათაგანაა დამო[illegible]ბული და ამიტომაც ხვალინდელი დღე და საზოგადოდ მერმისი მოითხოვს მეტ ყურადღებას და მზრუნველობას. თითოეული ჩვენგანი თავის აზრ-შეხედულებითა და იდეურ შემეცნებით ნახევრად ძველ ნატურალურ მეურნეობის ურთიერთობაშია ჩაფლული, და ეს ხელს უშლის ბევრ რამეს და, სხვათა შორის, აბრკოლებს ყაირათისა და დაზოგვის საჭიროების შეგნებასაც.

ამასთან ჩვენში არ არის ჯერ საკმაოდ განვითარებული კლასი, რომელიც წარმომადგენელია ახალი დროის მოთხოვნილებათა და განმხორციელებელი მოქალაქობრივ მისწრაფებათა. იმ ელემენტებს, რომლებიც ვაჭრობა-მრეწველობაში მოქმედებენ და, მაშასადამე, არიან ცხოვრებაში საზოგადოდ ანგარიშიანობისა და დაზოგვის შეგნების გამვრცელებელნი, აკლიათ ჯერ-ჯერობით როგორც ეკონომიური, ისე საზოგადოებრივ[illegible] ძალა და გავლენა. ჩვენი ხალხის უმრავლესობას ბინა აქვს სოფელში, რომელიც კონს[illegible]ვატორია ყველაფერში და ამის გამო ძნე[illegible] შემგუებელ-შემთვისებელი ყოველგვარ ახა[illegible] და ცვალებად მოვლენისა. ქართველ ერის წევრთა დიდძალ უმრავლესობას დღესაც მოეპოება თავისი ქოხი და ერთი მტკაველა მიწა და ამიტომ ყველა უნებურად ჰფიქრობს, რომ გაჭირვებაში შესძლებს თავის შეფარებას და უიღბლობის ქარიშხლის დროს გა-

---

*) [illegible] „ცნ. ფურც.“ № 2437.

მასახლისს ცემა და შენობაც ძირიანად მიანგრ-მოანგრიეს. მიწა ჩვენ, დარაჯელებს გვეკუთვნისთ და თქვენ ნება არა გაქვთ რამე შენობის დადგმისაო. ამ სიტყვების შემდეგ დარაჯელებმა თოფების სროლა დაიწყეს, უნდოდათ მამასახლისის განიანცის მოკვლა, მაგრამ მამასახლისმა თავს უშველა და იქვე რკინის გზის მუშათა ფარდულში თავი შეაფარა. მაზრის უფროსი ამ ჯგუფობის მეთაურებად ასახელებს: მაცაკ გა[illegible]ელოვს, მაცაკ ბატოევს, გრიქორ ლანდუნოვს, [illegible] პეტროსოვს და არუთინ გალუსტოვს.

✦ 14 მარტს ექიმმა ხატისოვმა წაიკითხა საჯარო ლექცია ჭლექის წინააღმდეგ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. ლექცია ექიმ ბლიუმენტალის სურათებით დაასურათა.

✦ ბორჯომი. 14 მარტს, დილის 8 საათზე მანევრების დროს მეისრე კონსტანტინე პაპიძე ვაგონების ქვეშ ჩავარდა და მარჯვენა ფეხი დაიშავა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ტფილისის სადგურზე, 14 მარტს, საღამოს, მანევრების დროს ბავშვს გაბრიელ გოგოლს უნდოდა ასულიყო ვაგონზე, მაგრამ ფეხი საფეხურს ააცდინა, ვაგონებს ქვეშ ჩავარდა და მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული მაშინვე რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ბარგუშეტი. 13 მარტს, როდესაც საქონლის მატარებელი № 89 შემოდიოდა სადგურში, იბრაგიმ საბედ-ოღლი, 70 წლისა. ჩავარდა მატარებლის ქვეშ და ორივე ფეხი მოსწყდა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ ბაქო. 13 მარტს, საბუნჩის ლიანდაგის მეორე ვერსზე სამი მთვრალი კაცი მიდიოდა. მატარებელმა № 46 მოასწრო, ერთი მათგანი პლატონ არბუზოვი ქვეშ მოჰყვა და დაშავდა.

✦ ცეცხლის წაკიდება: სოფ. ყვარელში (თელავის მაზრა) ადგილობრივ გლეხის ზაქარია მათიკაშვილის თივას ვიღაც ბოროტ განმზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი 42 მ.

— სოფ. შილდაში (თელ. მაზრა) ადგილობრივ გლეხის ისაკ ბუშენაშვილის ბოსელს ცეცხლი წაუკიდეს. ზარალი 30 მანეთია. ბრალსა სდებენ ისაკ დინგაშვილს და გიო ელოშვილს.

✦ ქურდობა: სოფ. შილდას (თელ. მაზრა) ადგილობრივ მედუქნე წყალობა იანქოშვილი გაძარცვეს. წაიღეს 77 მ. 20 კ. ბრალსა სდებენ იორამ ერქოშვილს, ალ. ლომაურს და პ. ელოშვილს.

— სოფ. ნაფარეული (თელ. მაზრა) სოფლისწულო [illegible]მელის დარაჯს სესია ილაშვილს თავისი ბუდკიდან [illegible]ღაც ბოროტ-განმზრახველთ ფულად 85 მ. მოჰპარეს, [illegible] ძვირფასი ნივთი—102 მანათისა და 65 კაპეიკისა.

დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. დღეს, 15 მარტს გაიხსნა მარგანეცის მრეწველთა საგანგებო კრება. თავმჯდომარეობს ინჟენერი ჩენგერი, მდივნად აირჩიეს ბატონი მდივანი. კრებამ გადასდო 15,000 მანეთი ჭიათურაში ხუთ-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დასაარსებლად; სასწავლებელთან სამთო განყოფილებაც უნდა იქმნას.

ექიმ ფ. ბლიუმენტალის ლექცია

(დასასრული *)

ბ. ბლიუმენტალის მეორე ლექცია შეეხებოდა ჭლექით ავადმყოფთათვის საზღვაო სანატორიებს, საზაფხულო კოლონიებსა და ამბულატორიებს. პირველი საზღვაო სანატორია დაარსდა ინგლისში, მდინარე ტემზას ნაპირზე. ამ მაგალითს მიჰბაძა იტალიამ, საფრანგეთმა და გერმანიამ და სხვა სახელმწიფოებმა. ეხლა ინგლისსა, გერმანიასა და საფრანგეთში სანატორიების რიცხვი ათასამდე ადის. უმეტეს შემთხვევაში ამ გვარ სანატორიების დანიშნულება არის ჭლექით ავადმყოფთა მორჩენა ზღვის წმინდა ჰაერითა და ზღვაში ბანაობით. რუსეთშიაც არსებობს რამდენიმე საზღვაო სანატორია: პროფესორის ველიამინოვის მიერ აშენებული სანატორია ვინდავაში, სანატორია „ხალილა“ ფინლიანდიაში, პროფესორის ბობროვის მიერ და კუზნეცოვისა და მედვედნიკოვის ხარჯით აშენებული საბავშვო სანატორია ალუპკაში, (ყირიმში) იალტაში და გაგრაში. ზღვის ნაპირის გარდა სანატორიებს აშენებენ მთებში და საზოგადოთ ისეთ ადგილებში, სადაც წმინდა ჰაერია. შვეიცარიისა, ავსტრიისა და გერმანიის სანატორიების უმრავლესი ნაწილი მთებშია აშენებული. ძალიან საინტერესოა ის წესრიგი, რომელიც საზოგადოთ სანატორიებშია შემოღებული. ავადმყოფებს l ძინავთ ან შიგ სადგომში, სადაც ფანჯრები ყოველთვის ღიაა, ანაც აივანზე და ბაღში. ზამთრობით დღისით თბილ ტანისამოსში გახვეული ავადმყოფები წვანან ბაღში იმ დროსაც-კი, როცა თოვლი მოდის. საფხულობით დროს ან ბაღში ატარებენ, ან განსაკუთრებულად მათთვის აშენებულ ხის სადგომებში. ავადმყოფთა გასართობად სანატორიებში გამართულია ათას გვარი გასართობი, სათამაშო, მუსიკა, ბიბლიოთეკა და სხვა. სანატორიების გარდა საზღვარ-გარედ არსებობს მრავალი საზაფხულო კოლონიები ზოგი ჭლექით ავადმყოფმოზრდილთათვის, ზოგი ბავშვებისათვის, ზოგი განსაკუთრებით ქალებისა და მუშებისათვის. მარტო ბერლინში არსებობს ასამდე ამ გვარი კოლონია, სადაც გამართულია ხის სადგომები, ბაღი და სხვა-და-სხვა გვარი სათამაშოები. ამ კოლონიებში მუშებს უფასოდ ეძლევათ რძე და სხვა გვარი საჭირო მასალები. როგორც სანატორიებისა, აგრეთვე კოლონიების დანიშნულება ორგვარია: ჭლექით ავადმყოფების მორჩენა და ისეთ სხვა სენით ავადმყოფებისა და საზოგადოთ სუსტის აგებულების ავადმყოფთა შენახვა, რომელნიც, საფიქრებელია, ადრე თუ გვიან დაჭლექდებიან. ამ გვარ კოლონიების გარდა საზღვარ-გარედ და უკანასკნელ დროს რუსეთშიაც არსებობს მოსწავლეთათვის საზაფხულო კოლონიები, სადაც მოსწავლენი მთელ ზაფხულს ატარებენ, მუშაობენ და ბოლოს შესამჩნევად ჯან-ღონე მომატებულნი ზამთარში ისევ თავიანთ საქმეს უბრუნდებიან. სანატორიებისა და კოლონიების გარდა საფრანგეთსა და სხვა სახელმწიფოებშიაც არსებობს ჭლექიანებისათვის ამბულატორიები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში აარსებენ ქალაქებსა და იმ გვარ ადგილებში, სადაც მრეწველობა განვითარებულია და, მაშასადამე, ჭლექიანებიც ბევრია. პირველი ამბულატორია დააარსა პარიზში ფრანგ ექიმმა კალმეტმა, რომლის მაგალითს ათასობით მიჰბაძეს. ამგვარ ამბულატორიის დანიშნულება შემდეგია: გაიგონ მსურველის ჯანმრთელობა, ე. ი. ჭლექიანია იგი თუ არა; თუ ჭლექიანი აღმოჩნდა, შინ ისტუმრებენ და უკან აყოლებენ ინტელიგენტ მუშას, რომელიც გებულობს ავადმყოფის ყოფა-ცხოვრებას, ნივთიერ შეძლებას ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ნივთიერ შეუძლებლობას, რის შემდეგ ამ გვარ ავადმყოფს უფასოდ აძლევენ ყოველგვარ დარიგებას, ჭურჭელს, ჯიბის საფურთხს და ყოველ დღე რძესა და სხვა გვარ საჭმელებს. ამბულატორიებს აქვთ რძით სავსე საკუთარი დიდი ქვაბი, რომელიც ცხენით ქუჩა-ქუჩა დააქვთ და ავადმყოფებს რძეს ურიგებენ. თუ აღმოჩნდა, რომ ავადმყოფი შეუძლებელი და ღარიბ-ღატაკია და ამასთან ოჯახიცა ჰყავს, ამბულატორია, სანამ ავადმყოფი მორჩება, ჰშველის და ჰკვებავს იმის ოჯახს. საზღვარ-გარედ მრავალი ამ გვარი ამბულატორიები, ურიცხვი საზაფხულო კოლონიები მოსწავლეთათვის, სუსტ ბავშვებისათვის და მუშებისათვის, აუარებელი სანატორიები, ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებები, იმათი შრომა, ლექციების კითხვა და ყოველგვარ ღონისძიებით პროპაგანდა ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათა ცნობის გავრცელება, ყველა ეს ერთად აღებული ისეთ დიდ საქმეს აკეთებს, რომ დანამდვილებით შეიძლება ვსთქვათ, ადრე თუ გვიან სრულიად თუ ვერ მოსპობენ ჭლექს, ცხრა მეათედით მაინც შეამცირებენ ჭლექით ავადმყოფთა ეხლანდელ რიცხვს. ამბულატორიები რუსეთში სრულიად არ არის, მაგრამ კავკასიის საექიმო საზოგადოებამ უკანასკნელ კრების დროს გადასწყვიტა დააარსოს ტფილისში ამგვარი ამბულატორია, რაიც პირველი მაგალითი იქნება მთელს რუსეთში. ამავე კრებაზე გამოირკვა, რომ კავკასიის საექიმო საზოგადოება ჰფიქრობს დიდი ყურადღება მიაქციოს ჭლექსა და იმის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც უზომო სარგებლობას მოუტანს საზოგადოთ მთელს კავკასიას და კერძოთ იმ ქალაქებსა და ადგილებს, სადაც ცოტად თუ ბევრად განვითარებულია მრეწველობა, მაშასადამე, სიღარიბე და იმის მოუშორებელი ხრდილი და შედეგი—ჭლექი.

სასამართლო

ტფილისის ქალაქის კასის გაქურდვა

მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1901 წელს 23 სექტემბერს, ვიღაც ქურდებმა გასტეხეს ტფილისის ქალაქის გამგეობის კასა და წაიღეს ფული და ქალაქის მესამე სესხის ობლიგაციები. როდესაც მისულან პოლიციელნი, ქალაქის მოურავი და გამომძიებელი, უნახავთ, რომ ქურდებს რაღაც იარაღით გაეტეხათ კასის შესავალი კარები, გამოემტვრიათ შკაფი, იქიდან გამოეღოთ რკინის ყუთის გასაღები და ამოელაგათ რაც რამე იყო. როგორც ქალაქის საქმეებიდან აღმოჩნდა, ქურდებს კასიდან წაეღოთ ფულად 3,273 მან. 1 კაპ., 4100 მანეთის სახელმწიფო 4% რენტის მოწმობები და ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის 592 ფურცლები 599,373 მან. და 1 კაპეიკისა. პირველ ხანს ამ ქურდობისა ვერა გაიგეს-რა, თუმცა ქალაქი გამგეობამ გაზეთებში განცხადებები დაბეჭდა და ყველა სიკრედიტო დაწესებულებას შეატყობინა, რომ ქალაქის კასიდან ობლიგაციების ფურცლები მოიპარეს და მისი წარმომდგენელნი დააპატიმრეთო. ეჭვი მიიტანეს გამგეობის ზოგიერთ მოხელეებზედაც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიუძღვოდათ. 2 თვის შემდეგ ბაქოს მცხოვრებს სანტურ კასპარიანცს ტფილისის საკომერციო ბანკის ბაქოს განყოფილებაში წარედგინა მოპარულ ობლიგაციების ორი კუპონი ფულის გამოსატანად. კასპარიანცი დაუპატიმრებიათ. პოლიციაში განუცხადებია, ეს კუპონები მივიღე ბანქოს თამაშის დროს ვაჭრის მათე თოდუას დუქანში წვრილმანე ებრაელის შიმონა ბაგდატლიშვილისაგან, რომელსაც მეტ სახელად „იაშკას“ ეძახიანო. დაუპატიმრებიათ ებრაელი ბაგდატლიშვილი, რომელსაც უთქვამს: „ეს ობლიგაცია მივიღე საქონელში ქუჩაში ვაჭრობის დროს ვიღაც გამვლელ სომხისაგანაო. მეორედ ბოქაულისათვის უთქვამს: ეს ობლიგაცია ვიყიდე „პარიზის“ ნომრების პატრონის ნეოფიტე ხუნდაძის თანადასწრებით ოთხმეზურისაგანაო. ბაგდატლიშვილი პასუხის გებაში მიუციათ. გამომძიებლისათვის დაპატიმრებულს განუცხადებია: მე არ ვიცოდი, თუ ეს მოპარული ობლიგაცია იყო. საქონლის ვაჭრობის დროს იგი მივიღე გამვლელ სომხისაგან, რომელსაც ნაცვლად მივეცი 16 არშინი ხავერდი და ერთი ცალი კალენკორი. სომეხმა შემომაძლია ორი კუპონი. არ მინდოდა მათი მიღება, მაგრამ ამ დროს ჩვენთან მოვიდა ნ. ხუნდაძე, რომელმაც გასინჯა კუპონები და სთქვა, ესენი კარგია, იგივე ფულია, ფულად გადის ბანკებშიო. ამის შემდეგ ბაგდატლიშვილი წასულა თოდუას დუქანში, სადაც ბანქოში ორი კუპონი მოუგია იმისაგან კასპაროვს და მესამე ვიღაც უცნობ კაცს. ეს ამბავი ხუნდაძესა და რაედენ კახიანს შეუმოწმებიათ. შემდეგ პოლიციას დაუპატიმრებია ის კაცი, რომელმაც ბაგდატლიშვილს მიჰყიდა კუპონები. ეს კაცი სცხოვრობდა იმ ხუნდაძის ნომრებში, რომელიც მოწმად მიიყვანა ებრაელმა ბაგდატლიშვილმა. პოლიციას ეჭვი აუღია სიმონ ოთხმეზურზე, რომელიც „პარიზ“-ის ნომრებში საბერძნეთის ქვეშევრდომის ემანუილ ზევგალთან ერთად სცხოვრობდა. პოლიციას გაუჩხრეკია ამათი სადგომი და ვერაფერი ვერ უპოვნია. მეორედ გასჩხრიკეს ესენი და უპოვნიათ კალათი, რომელიც პოლიციაში გაუხსნიათ. აღმოჩენილა რკინის შკაფების გასატეხი რკინისა და ფოლადის იარაღები. ზემოხსენებულ ბაგდატლიშვილს ერთხელ კიდევ შეუცვლია ჩვენება და უთქვამს, სამი კუპონი საქონელში მივიღე ნეოფიტე ხუნდაძისაგან, რომელსაც ხელში ჰქონდა კიდევ მრავალი ასეთი ქაღალდიო. პოლიციას ღამე გაუჩხრეკია ნეოფიტე ხუნდაძე და უნახავს ქაღალდში გახვეული კუპონი № 5. ნეოფიტე ხუნდაძეს უთქვამს, ეს კუპონები მივიღე ჩემს ნომრებში მცხოვრებ ოთხმეზურისა და ზევგალისაგანა ბინის ქირადაო. გამოკითხვის დროს ხუნდაძეს ისიც განუცხადებია, რომ ზევგალსა და ოთხმეზურს ვიცნობ როგორც ქურდებს და ვნახე კიდეც იმათ ხელში მრავალი ობლიგაციაო. გამომძიებელთან ოთხმეზურსა და ზევგალს თავი დამნაშავედ არ უცვნიათ. ზევგალს უთქვამს; 1901 წლის სექტემბერში მოსკოვს ვიყავი. შემდეგ ტაგანროგიდან ჩაველი ბაქოში, მხოლოდ 1901 წლის 3 ოქტომბერს. სიმონ ოთხმეზურს უთქვამს: 23 სექტემბერს, ქურდობის ჩადენის დღეს, ვიყავი ბაქოში, სადაც დავრჩი ოქტომბრის დამლევამდე. შემოველი ტფილისს, ვცხოვრობდი აქ ნოემბრის ბოლო რიცხვებამდე და მერე ისევ ბაქოში დავბრუნდი. საბერძნეთის ქვეშევრდომის ემანუილ ზევგალისა და ოზურგეთის მოქალაქის სიმონ ოთხმეზურის გარდა პასუხის გებაში მიუციათ ისინი, ვინც ობლიგაციებს ასაღებდნენ. ესენი არიან: მარიუპოლის მოქალაქე ხაიმბეიბლიტი, ალექსანდროვკას მცხოვრები გერცელ ჩერნიკოვი და იოსებ გერმანი, ტავრიდის გუბერნიის მცხოვრები ამბრამ პანდული, ეკატერინოსლავის გუბერნიის მცხოვრები მოსე მაკაროვი, ეკატერინოსლავის —მამა-შვილნი კონსტანტინე და სიმონ პაჩენკოები, მელიტოპოლის მცხოვრები ონისიმე პერელოგინი და ამავე მაზრის გენიჩესკას მც. ისიდორე პუხანოვი და პოლტავის მცხოვრები ცოლ-ქმარნი ბერესლავსკები. ყველა ამათ ჰბრალდებათ მოპარულ ობლიგაციების გასაღება. პასუხის გებაშივე მისცეს სოფელ საჯავახოს მცხოვრები ნეოფიტე ხუნდაძე. ამ საქმის გარჩევას ტფილისის ოლქის სასამართლო შეუდგა გუშინ, 15 მარტს.

(დასასრული იქნება)

დაყუდრებას.

თუ მოქალაქობრივობის წარმომადგენელი კლასი ჩვენში სუსტი განუვითარებელია და ამიტომ მისი იდეური გავლენა ხალხზე მცირეა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართველობაში არ იყოს ისეთი კლასი ან წოდება, რომელსაც თავისი ცხოვრების წესით და ძველ ტრადიციების მომხრეობით გავლენა ჰქონდეს სხვა წოდებაზედაც. ასეთი წოდება ჩვენში დღესაც თავად-აზნაურობაა. მოქალაქობრივობის განუვითარებლობა იგივე ძველ წოდებრივ განწყობილების მაჩვენებელია. ეგრედ წოდებულ ქართველ „საზოგადოებაში“ ჯერ კიდევ ტონის მიმცემი და კონკრეტულ ელიფერის დამდები ისევ და ისევ ძველი თავად-აზნაურობაა. და მოგეხსენებათ, ამ წოდებას—არა მარტო ჩვენში, არამედ სხვაგან, უცხოეთშიაც—როგორ უყვარს „შიკით“ ცხოვრება და ხელგაშლილად ფანტვა. მას აქვს მოთხოვნილებები; ყველა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კანონად აქვს დადებული და სრულიად არ ფიქრობს იმაზე, აქვს ამისთვის საჭირო შემოსავალი და საშუალება თუ არა. გაჭირვების დროს იგი იღებს ვალს, სესხულობს, საცა კი მოახელებს, ყველგან, ოღონდ საზოგადოებაში გამოვიდეს ბრწყინვალედ და თავის წოდების შესაფერად. დღესაც თავის თავი მას—ასე ვთქვათ, შეუგნებლად—ისევ საშუალო საუკუნეებში ჰგონია და ძველებურად აღარ ზრუნავს იმაზე, თუ რა შედეგს მოუტანს ამგვარი ცხოვრება მის ეკონომიურ მდგომარეობას. ასეთი მჩატე ცხოვრება არის ერთნაირი მოდა, რომელსაც ხშირად გავლენა აქვს ისეთ პირებზედაც, რომლებსაც თავის ძარღვებში ერთი წვეთიც-კი „კეთილშობილი სისხლი“ არ მოეპოვებათ.

ყველა ზემოდ ნათქვამი იმას მოასწავებს, რომ ეკონომიური ინდივიდუალიზმი ისე დიდი არაა ჯერ ჩვენში, როგორც ევროპასა და სხვა დაწინაურებულ ქვეყნებში. ძველ ეკონომიურ ურთიერთობათა ნაშთების არსებობა ნიშნავს რამოდენიმედ ძველებურ სადა განწყობილებისა და მეზოპლურ დამოკიდებულების არსებობას. ქართველი ჯერ კიდევ არ შესჩვევია იმ აზრს, რომ მას ცხოვრებაში ერთად ერთი თავის იმედი უნდა ჰქონდეს და არა სხვა ვინმესი.

ამ შეუჩვევლობას ხელს უწყობს შესამჩნევად ჩვენი რიცხვითი სიმცირეც. ჩვენ რიცხვით ისე ცოტანი ვართ, რომ თითქმის ყველანი ერთმანეთს პირადად ვიცნობთ და ურთიერთ შორის ახლო დამოკიდებულება გვაქვს. უფრო ადვილია სხვასთან დაახლოვება იქ, სადაც ხალხი ცოტაა, ვიდრე იქ, სადაც მცხოვრებნი მილიონობით ითვლებიან. პარიზში, მაგალითად, ხუთასი ნაცნობი რომ გყავდეთ, თვეები გაივლის, რომ იმათგან ქუჩაში ერთსაც ვერ შეხვდებით. ეს იმიტომ, რომ იქ უთვალავი ხალხი ირევა, რომელშიაც თქვენი ნაცნობთა წრე რწყილადაც არ გამოჩნდება. აქ კი ხუთი კაცის მეტსაც რომ არ იცნობდეთ, ხუთივეს ყოველ დღე შეხვდებით და ერთი და იგივე სახეების მზერით სასოწარკვეთილებაში ჩავარდებით. ცხადია, ასეთ მდგომარეობაში ერთს მეორის იმედი უფრო ექნება, ვიდრე სხვაგან მრავალ რიცხოვან ხალხში, რომელშიაც მას ნაკლები ნაცნობები ჰყავს და, მაშასადამე, სხვისი დახმარებისაც ნაკლები იმედი და სასოება აქვს. და ეს გარემოება ამაგრებს და ეხმარება ჩვენს ისედაც უზრუნველობისა და უდარდელობის შემცველ ხასიათს.

აქ, მოსახსენებელია ისიც, რომ ჩვენში კოჭლობს ზნეობრივ მოვალეობის შეგნება და პასუხისმგებლობის შეთვისება. მამა, რომელიც ყველაფერს თვითონ სჭამს, ქონებას არ ადიდებს და ჩამომავლობის ბედ-იღბალზე არ ჰფიქრობს, უეჭველია, ზნეობის მხრით სუსტი და განუვითარებელი ადამიანია. ჩვენ გვაკლდა ზნეობრივი აღზრდა ისტორიაში და გვაკლია იგი დღეს ოჯახშიაც.

დასასრულ ამ საკითხის გარკვევის დროს არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ჩვენი ხალხი საზოგადოდ ძალიან ხელ მოკლე და ღარიბია. რომ ადამიანმა მოახერხოს ცოტა რამ შავი დღისათვის შემოინახოს, ამისთვის საჭიროა მას ჰქონდეს იმოდენა შემოსავალი, რომელსაც, უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ, რჩებოდეს რამ შემოსანახად და მერმისათვის გადასადებად. ჩვენში კი მუშის ქირა ორი და სამი აბაზია, გლეხის შემოსავალი არ ასდის გადასახადს და ოჯახის აუცილებელ საჭიროებათ. იქ, სადაც წარმოების ტეხნიკა ძველი და განუვითარებელია, შრომის ნაყოფი მცირეა, ძნელია მშრომელმა ხალხმა მოახერხოს თავის გამოკვებვა და მერმისთვის ცოტა რამის გადადებაც.

ამ სახით, როგორც ჰხედავთ, ქართველი უზრუნველობისა და დაუზოგველობის მიზეზები მრავალთ მრავალია, ეს მიზეზებია უმთავრესად ეკონომიურის ხასიათისა და მოკლედ შემდეგ ორ სიტყვაში გამოიხატება: მოქალაქობრივობის განუვითარებლობა. მაგრამ ჩვენი ცხოვრება მოქალაქობრივობის გზაზე უკვე შედგა და ჩვენ გვგონია, ამ პროცესსის განვითარება გავლენას იქონიებს ქართველის ჰსიხიურ თავისებურობაზეაც. იგი ისევ გამოიწვევს და განამტკიცებს დამზოგველობას ქართველში, როგორც შეუქმნია ეს თვისება ევროპისა და საზოგადოდ უცხოეთის დაწინაურებულ ხალხებში...

ფ. გოგიჩაიშვილი

---

*) იხლე „ცნ. ფურც.“ № 2439

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ჩვენმა არტისტებმა ორჯელ ზედი-ზედ „ღალატის“ ნახვის ღირსი გაგვხადეს. ერთხელ შაბათს, 13 მარტს, წარმოადგინეს ქართულ თეატრში, მეორედ კვირას, 14 მარტს—საარტისტო საზოგადოების თეატრში. ქართული ანდაზაა: „რაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერიც ვერ უზამსო“. ეს ანდაზა ზედ გამოჭრილი გამოდგა ჩვენს არტისტებზე. როგორც ვუწყით, ქართული დასი ორად გაიყო. ერთი „ქართველ მსახიობთა ამხანაგობის“ ფირმით მოქმედებს, ხოლო მეორე—„ქართულ დრამატიულ არტისტებისა“. ამ დაქუცმაცებისა და დანაწილების მეოხებით ორივე დასი ზარალობს: წარმოდგენებიც ვერ არის ისეთი, როგორც მოსალოდნელია, და არც ხალხი ესწრება საკმაოდ. ასე მოხდა, სხვათა შორის, კვირისა და შაბათის წარმოდგენებში.

ორივე წარმოდგენა სუსტი იყო, ხოლო სუსტი იყო იმიტომ, რომ, სხვა მიზეზებს გარდა, ორსავე პიესაში ზოგიერთ ძნელ და პასუხ-საგებ როლებს ასრულებდნენ ისეთი მსახიობნი, რომელთაც არც ძალა შესწევთ (ჯერ ჯერობით მაინც) და არც სასცენო გამოცდილება აქვთ. „ღალატი“ ჩვენმა არტისტებმა უკვე რამდენჯერმე წარმოადგინეს (თუ არა ვცდებით—ათჯერ) და ამიტომ შეგვიძლიან საბოლოო აზრი გამოვსთქვათ. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში უნდა გავიმეოროთ ის, რაც პირველ წარმოდგენის დროს გამოსთქვა ჩვენმა გაზეთმა: ქართველ არტისტებს ღონე არ შესწევთ ამ პიესის სასურველად წარმოდგენისათვის. ამ აზრს ვერ დაარღვევს ის გარემოება, რომ ორიოდე როლს პიესისას ჩვენ არტისტთა შორისაც კარგი ამსრულებელი ჰყავს. ჩვენ ვამბობთ მთელ პიესაზე და არა რომელსამე როლზე. მთელ პიესის წარმოდგენას კი არ ეტყობა სიცოცხლე, გატაცება, აღფრთოვანება; ვერა ჰკრძნობს მაყურებელი საკმაოდ იმ ტრაგედიას და ძალთა შეტაკებას, იმ ცრემლს, მწარე ნაღველს, მთელის ერის გოდებას, რომელიც ყოველს ექვს გარეშე ავტორმა დაგვიხატა პიესით. რა თქმა უნდა, ყველა ამისთვის ნიჭია საჭირო, ამასთან ძლიერი და მკაფიო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩვენი არტისტები საკმაოდ ვერ გაიმსჭვალნენ გმირთა სულიერ ვითარებით, ვერ შეიგნეს იმ შავ-ბნელ დროის სიდუხჭირე.

ესაა საერთო და დიდი ნაკლი არტისტებისა ამ პიესაში. უამისოდ ყველას მომზადება ეტყობა, ე. ი., როლები დაუსწავლიათ (ვინ იცის, იქნება იმ მკითხველმა, რომელიც თეატრში არა ყოფილა, არც-კი დაიჯეროს), სცენას შესჩვევიან, ტანისამოსი რიგიანი აქვთ, მოწყობილებასაც არა უშავსრა. არ ვარგა მარტო ის სცენები, სადაც ჯარი გამოდის.

კერძოდ მსახიობთ თუ შევეხებით, პირველად ზეინაბის როლის ამსრულებელნი უნდა მოვიხსენიოთ. შაბათს ამ როლს თამაშობდა ქ-ნი კარგარეთელი, ხოლო კვირას—ქ-ნი ეფ. მესხი. რა თქმა უნდა, ამ ორ მსახიობს შორის დიდი მანძილი და განსხვავებაა, განსაკუთრებით დრამატიულ როლებში (სხვა არა აყოს-რა, ქ-ნმა კარგარეთელმა ქართული ლაპარაკიც არ იცის), მაგრამ ყველა ის, რაც ზემოდ ვსთქვით საზოგადოდ არტისტებზე, კერძოდ ეფემია მესხზე ითქმის. გული, გრძნობა—აი რა არ არის ეფ. მესხის თამაშში. ხშირად ქ-ნ ეფ. მესხის თამაშობას ნაკლს ვერც-კი გამოუძებნი, ისე აქვს ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გაზომილი. მაგრამ ამავე დროს ატყობ, რომ მსახიობი ვერ გიტაცებს, ვერ ვაფრთოვანებს, ვერ გავიწყებს იმას, რომ სცენაზე ხარ და პიესას უყურებ. ოთარ-ბეგის როლს კვირას ასრულებდა ბ-ნი ივანიძე. ამ ახალგაზრდა მსახიობს ჯერ კიდევ ბევრი მეცადინეობა და სწავლება უნდა, რომ ოთარ-ბეგის როლი ცოტად თუ ბევრად რიგიანად აასრულოს. რაც შეეხება ბ-ნ გუნიას, იგი კარგი ოთარბეგია; ყოველ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, „ღალატი“-ს გმირების ამსრულებელთა შორის ბ-ნ გუნიას სხვებზე უფრო ცოტა ნაკლულევანება აქვს. ესევე ითქმის ბ-ნ ყიფიანზედაც გლახა ანანიას როლში. კვირას ეს როლი შეასრულა კონს. მესხმა. საუცხოვო გრიმი და, საზოგადოდ, გარეგნობა ჰქონდა ბ-ნ მესხს და, ჩემის აზრით, კარგადაც დაიწყო. სამწუხაროდ, შემდეგში გადაჭარბებულის ხელების ქნევითა და ფიცხის მოძრაობით მსახიობმა შეასუსტა პირველი შთაბეჭდილება. ანანია ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი კაცია და ყოველ სიტყვას აწონ-დაწონვით, ანგარიშით ამბობს. ბ-ნ მესხს არ ეტყობოდა ეს. ქ-ნი ჩხეიძე რუქაიას როლში ყინულივით ცივი იყო. საზოგადოდ ეს როლი სრულებით არ შეეფერება იმის ტემპერამენტს. სულეიმანის როლის ამსრულებელ ბ-ნ მესხიშვილზე არას ვამბობთ, რადგან წინათ უკვე ავღნიშნეთ, რომ იგი კარგად თამაშობს ამ როლს. ყველაზე მეტად კვირას საღამოთი თეატრში მოსიარულე საზოგადოებას მოეწონა ახალგაზდა მსახიობნი ქ-ნი დავითაშვილი გაიანეს როლში და ბ-ნი იმედაშვილი—დათოსაში. ორივემ ლამაზად და კოხტად ჩაატარეს თავიანთი როლები. დანარჩენნი სუსტები იყვნენ.

◆

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 მარტი.

ოდესა. ქალაქი ემზადება, საგანგებოდ დაჰხვდეს ჩემულპოს გმირებს.

ვარშავა. პრივისლიანის გზაზე გადააკეთეს და მოაწყეს ორი ვაგონი დაჭრილთა გადასაზიდად. ვაგონებს პეტერბურგში ჰგზავნიან გასასინჯავად და თუ გამოდგა, ჩარიცხავენ დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სასანიტარო მატარებელში.

პეტერბურგი. ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი მუკდენიდან 14 მარტს: „13 მარტს, მთვარის ჩასვლის შემდეგ, იაპონელებმა სცადეს ნავთ-სადგურის შესავლის შეკვრა, რისთვისაც გამოგზავნეს ოთხი ბრანდერი ნაღმიან გემის თანხლებით. ღამის 2 საათსა და 15 წუთზე ჩვენმა სადარაჯო გემებმა და ბატარეებმა შეამჩნიეს მტრის გემების მოახლოვება და ზარბაზნები დაუშინეს. ბრანდერების წინ მოდიოდნენ მტრის ნაღმიანი გემები, ხოლო კარგა მოშორებით—უფრო დიდი გემები, რომელთაც ზარბაზნები დაუშინეს ჩვენს სიმაგრეებს და მით მხარი დაუჭირეს ბრანდერებისა და ნაღმიან გემების მოქმედებას. ჩვენის არტილერიისა და ნაღმიან გემების წყალობით ბრანდერები ნავთ-სადგურის შესავლამდე ვერ მივიდნენ: ორი მათგანი „ზალატაია გორა“-სთან ქვებზე გაირიყა, ერთიც ჩვენმა ნაღმიანმა გემმა დააზიანა და დასძირა; მეოთხე ბრანდერიც დაიღუპა „მაიაჩნაია გორა“-სთან, სადაც წინადაც დაიღუპა იაპონიის 1 გემი. დაღუპულ გემებზე აღმოჩნდა მსწრაფლ მსროლელი ზარბაზნები გოჩკინის სისტემისა. ამ ზარბაზნებიდან ჩვენს ნაღმიან გემებს ესროდნენ. ოთხსავე დაღუპულ გემიდან ნავები ჩაუშვეს იაპონელ მეზღვაურთა გადასარჩენად; ვგონებ, ამ ნავებიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. დილის ოთხს საათზე მტრის ნაღმიანმა გემებმა უკან დაიწიეს და სროლა შესწყვიტეს. ჩვენის ფლოტის ადმირალი მაკაროვი მაშინვე გავიდა რეიდზე მტრის დაღუპულ გემების დასათვალიერებლად. მტრის ნაღმიან გემების იერიშის დროს ნაღმიანი გემი „სილნი“ იმდენად დააზიანეს, რომ იგი იძულებული გახდა გარიყულიყო ნაპირზე ზალატოი გორასთან. ამ გემზე არიან დაჭრილნი და დაშავებულნი, მაგრამ ამათი რიცხვი არ იციან. დილის ხუთს საათსა და 25 წუთზე პორტ-არტურის სამხრეთით ისევ გამოჩნდნენ იაპონელთა ნაღმიანი გემები, რომელთაც ჩვენმა ბატარეიებმა მაშინათვე სროლა დაუწყეს. დილის ექვს საათზე გამოჩნდა იაპონიის ესკადრა. 6 საათსა და 30 წუთზე ტიგროვოის ნახევარ კუნძულს ბატარეიებმა ზარბაზნები დაუშინეს, ხოლო ჩვენი ესკადრა თან-და-თან ნავთ-სადგურიდან გავიდა პირველად გავიდნენ „ბაიანი“, „ნოვიკი“, და „ასკოლდი“ და ამათაც ზარბაზნები დაუშინეს. სროლა მალე შესწყდა, რადგან მტრის ესკადრა განშორდა. 9 საათსა და 15 წუთზე მთელი ჩვენი ესკადრა რეიდზე გაიჭიმა. იაპონიის ესკადრა თან-და-თან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ წავიდა. როგორც ეტყობოდა, ბრძოლას ერიდებოდა. დილის ასე 10 საათზე მტრის ესკადრა თვალისგან მიიმალა. ყოველსავე ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას“.

ვიცე-ადმირალის მაკაროვის დეპეშა, გამოგზავნილი პორტ-არტურიდან 14 მარტს მისს უდიდებულესობის სახელობაზე: „თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ: მტერი მიიმალა და მე ფლოტით ნავთ-სადგურში დავბრუნდი. ნაღმიან გემს „სილნ“ ის ღამე მტრის ყუმბარებმა მანქანა გაუფუჭეს და ქვას მოედო. მეზღვაურების მხნე მოქმედებით ეს გემები ნავთ-სადგურში შემოვიყვანე. გემის უფროსი ლეიტენანტი კრინიცკი მსუბუქად დაიკრა მკლავში, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ბრანდერებზე აღმოჩნდა ასაფეთქებელი მანქანები, რომლის მავთულები უკვე გადავსჭერით. ლეიტენანტი კედროვი მეოთხე, აზარიევი მესამე და მიჩმანი პილსუდსკი გავგზავნე გემზე მაშინვე, როგორც კი გაჩერდა; ამათ გადასჭრეს მავთულები და გააქრეს ცეცხლი, რომელსაც შეეძლო მტრისათვის ნავთ-სადგურის შემოსავალი გაენათებინა. რეიდში დილით გამოჩნდა მცურავი ნაღმი ასაფეთქებელ მანქანით, რომელიც მშვიდობიანად ამოვიღეთ. რეიდი გაწმენდილია. გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ბრანდერები ძველები არ ყოფილან და შეიარაღებულნი იყვნენ პატარა კალიბრის არტილერიითა. ამ ბატარეიას ჩვენსას ვუმატებ. ნაწილს გემებისას ამოვიღებ ჩვენის ნავთ-სადგურის საჭიროებისათვის.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა სასურველად სცნო, რომ ჯარის-კაცთა პერანგებისა და ქუდების გადასახურავების ფერი შეიცვალოს და თეთრის ნაცვლად, რომელიც ზაფხულში იხმარება, უფრო ნაკლებად შესამჩნევი ფერი იყოს. ამიტომ სასურველია იმათ, ვინც მის უდიდებულესობის საწყობებს შემოწირულებას უგზავნიან, მიაწოდონ მასალა ჯარის-კაცთა პერანგების შესამზადებლად რუხისა ან ნაცრის ფერისა.

სეული („რეიტ. სააგ.“). იტო დღეს წავიდა. იგი ურჩევდა კორეის მთავრობას ჯარი არ გაამრავლოს და იმის ნაცვლად რეფორმები შემოიღოს. ეს რჩევა მიიღეს. იტოს მისსიის საპასუხოთ კორეა იაპონიაში განსაკუთრებულ დესპანს გაგზავნის.

დარტმუტი („რეიტ. სააგ.“). გემი „პრინცესა მარია“, რომელიც პორტ-არტურიდან მოვიდა დანიის ბაირაღით, დაათვალიერეს ინგლისის საზღვაო აფიცრებმა, რადგან ეჭვი მიიტანეს: ეს რუსეთის გემია, რომელმაც დაარღვია ნეიტრალიტეტის დადგენილებაო. გემის ყველა საბუთის ქაღალდები დაწვრილებით გაჩხრიკეს. გემს ნება მისცეს 500 ტონის ნახშირის წაღებისა, რომელიც ბალტიის ზღვამდის ეყოფა. როგორც ისმის, იაპონიის კრეისერები დაედევნენ.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

15 მარტი

ლონდონი. იაპონიის სამხედრო ცენზურის მეოხებით სამხედრო მოქმედების შესახებ არავითარი ცნობა აღარ მოდის.

ტოკიო. როგორც იუწყებიან, იტოს მისსიამ მშვენიერი ნაყოფი მოიტანა. კორეის იმპერატორმა განაცხადა, მივიღებ ყველა დასახელებულ რეფორმასაო.

როგორც სეულიდან დეპეშით იუწყებიან, ჩემულპოში თავი მოიყარა სხვა მხრიდან მოსულმა დიდძალმა ხალხმა, რომელიც სამუშაოს ვერა შოობს და საშიში ხდება.

მოვიდა პეკინში კორეის ელჩად ნამყოფი პანჩისუნი, რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოდან)

15 მარტი

სტამბოლი. რუსეთ-ავსტრიის ელჩებმა პორტასაგან მიიღეს თავის მემორანდუმის პასუხი. პასუხში პორტა საყვედურს აცხადებს გენერალ ჯიორჯის კომისიის სოლონიკში წასვლისა გამო. ელჩები ახალ ღონისძიების მიღებას აპირებენ. პორტამ გადასცა ელჩებს სია იმ დასაშაულობათა, რომელნიც აჯანყებულთ ჩაუდენიათ პირველ მარტიდან 23 მარტამდე. აღნიშნულია: 22 მკვლელობა, სამი შეტაკება მაკედონელთა რაზმებისა ოსმალეთის ჯართან, ერთხელაც მოიწადინეს ყუმბარის სროლა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, ნება დართოს გაზეთ „ენისეი“-ს გამოცემისა.

ნეაპოლი. მეფემ გაუგზავნა დეპეშა გერმანიის იმპერატორს. დეპეშაში მადლობას უცხადებს კარგის დახვედრისათვის. იმპეტორმა თავის გულწრფელი მადლობა გადაუხადა.

პარი („რეიტ. სააგ.“). სამის დღის ლაშქრობის შემდეგ გენერალი მაგდონალდი მსწრაფლ მომქმედ რაზმით იზამბოდან აქ მოვიდა.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). მთავრობამ ხელახლა მიანდო ნაჩევიჩს, ეცადოს პორტას წინაშე და ხელშეკრულობას ხელი მოაწერინოს. მცოდნე წრეები უარსა ჰყოფენ „პოლიტიშე კორესპონდენც“-ის ცნობას, ვითომც ბოლგარია თხოულობდეს შეთანხმებაში შეტანილ იქმნას ახალი მუხლი, რომლის ძალითაც პორტა ვალდებული იქნება, რეფორმები ადრიანოპოლის ვილაეტშიაც შემოიღოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

სასტუმრო **იალტა** ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—12)

ფარდისფერი
ბროლისებური **საპონი**
№ 4711

ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
ყაირათიანია.

ვარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი
კოლოკოლნაია № 4711 კელნსა და რიგაში.

(მც. 10—9)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ალაგობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად
ფ. ავსარქისოვის
მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (б 10—6)

რკინის სომატოზა

შეიცავს 2% რკინას, რომელიც ორგანიულად და მჭიდროდ შეზავებული არის სომატოზასთან. საუკეთესო საშუალებაა:

სისხლნაკლულევანებისა, სისუსტისა და ანემიის
წინააღმდეგ.

კუჭის მუშაობას არ ავნებს და არც კბილებს აფუჭებს. ისყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.

ლიტერატურასა და ბროშიურებს ამ საშუალების შესახებ, უფასოდ უგზავნის მსურველთ ფრიდრ. ბაიერი და ამხ., მოსკოვიდან და პეტერბურგიდან

(б. მც. IV. 1—1)

Доз. ценз. Тифлисъ 15 марта 1904 г. [illegible] წიგნების გამომც. ქარ. ამხ—ის (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.